საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის,
დადგენილება №41-ის მიხედვით
"შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის"

საექსპერტო დასკვნა



ქალაქი თბილისი, ნაფარეულის ქუჩა №12
579 999 917
f4side@gmail.com

მისამართზე: ქალაქ თბილისი, დ.აბაშიძის ქუჩა №17/4-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის (ბანკი და სასტუმრო), არქიტექტურული პროექტის:
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 "შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები" დადგენილებასთან შესაბამისობაზე.

საექსპერტო დასკვნა

დირექტორი:
ალექსანდრე ზაქარეიშვილი:

არქიტექტორ-ექსპერტი:
იოსებ თოხაძე

20 აპრილი 2022 წ.

შპს “ფორ საიდი” “FOUR SIDE” LTD GEORGIA 405141804 საქართველო

შენიშვნები.

1.საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2.საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3.საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე ცვილების ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმესახის ცვლილებისას, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და შეფასებების გაუქმებას.

4.აღნიშნული საექსპერტო დასკვნის მიზანია, დადგინდეს წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შესაბამისობა "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41
დადგენილებასთან. წარმოდგენილ ექსპერტიზაში განხილულია მხოლოდ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისობა ტექნიკურ რეგლამენთთან.

გამოყენებული ტერმინები და პირობითი დასახელებები.

1.ბანკი - **ბლოკი ა**
2.სასტუმრო - **ბლოკი ბ**
3.კაფე - **ბლოკი გ**

პროექტის აღწერა.

საექსპერტოდ წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის მშენებლობა დაგეგმილია მისამართზე:ქალაქი თბილისი, ქუჩა დ.აბაშიძე №17/4-ის ტერიტორიაზე, ჯერძოდ 01.16.05.001.017 და 01.16.05.001.006 საკადასტრო ერთეულებზე.აღნიშნულ ,მიწის ნაკვეთს სამხრეთ-დასავლეთიდან მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დ.აბაშიძის ქუჩა ესაზღვრება.სამხრეთ-აღმოსავლეთიდან საპროექტო მიწის ნაკვეთს ესაზღვრება ჯერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები,თუმცა მათსა და საპროექტო მიწას შორის მდებარეობს შიდა საუბნო გზა-ჩიხი.ამრიგად საპროექტო ტერიტორიას გააჩნია საზოგადოებრივი სივრცე სამი მხრიდან.რაც შეეხება ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეს, აღნიშნულიდან ჯერძო საკუთრებაში არასებული ნაკვეთები და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობები ესაზღვრება.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რომელიც შედგება სამი ბლოკისგან, ბანკი (ბლოკი ა), სასტუმრო (ბლოკი ბ) და კაფე (ბლოკი გ), უკანასკნელი გაერთიანებულია ბ ბლოკთან და ცხრილებშიც წარმოდგენილია გაერთიანებულად. ბლოკი "ა" არის 5 სართულიანი, ხოლო ბლოკი "ბ" 8 სართულიანი, საიდანაც რამდენიმე სართული დათმობილია "გ" ბლოკზე. ბ ბლოკიში პროექტით გათვალისწინებულია 152 სასტუმრო ნომერი.ა, ბ და გ ბლოკები დაკავშირებულია ერთმანეთთან -2 და -1 სართულებზე, სადაც განთავსებულია ავტოსადგომები, სხვა და სხვა ტექნიკური და დამხმარე ოთახები, ასევე ბანკის ლობი, რეცეპცია და სამუშაო ოთახები.მოგეხსენებათ, რომ მიწის ნაკვეთზე აღინიშნება რელიეფი შესაბამისად -1 სართულის ნაწილი მდებარეობს მიწაში, ხოლო ნაწილი, ჯერძოს ბლოკი ა-ს ნაწილი მიწის ზემოთ.

როგორც აღინიშნა "ბ" ბლოკში გათვალისწინებული სასტუმროს მოწყობა, რომელშიც გათვალისწინებულია შშმ პირებზე ადაპტირებული სასტუმრო ნომრების საჭირო რაოდენობა.ამასთანავე, როგორც "ა", "ბ" და ასევე "გ" ბლოკები სრულად მისაწვდომია შშმ პირებისთვის.შენობებში ასევე გათვალისწინებული ლიფტები, რომლებშიც თავსდება როგორც შშმ პირთა ეტლი ასევე საკაცე.ჯამში "ა" ბლოკს ემსახურება 2, ხოლო "ბ" ბლოკს 5 ლიფტი.

შენობების ფასადები სრულად შემინულია, და მოპირკეთებულია ვენტილირებადი ფასადი.შენობის სახურავის ნაწილზე გათვალიწინებულია ტერასის მოწყობა, როგორც "ა" ასევე "ბ" ბლოკზე.ორივე ბლოკში გათვალისწინებული 2-2 საევაკუაციო კიბე.ორივე ბლოკის საევაკუაციო კიბე და ლიფტის შახტები წესების შესაბამისად შემოსაზღვრულია 2 საათიანი ცეცხლდემეგობის ხარისხის მქონე გამმიჯნავეებით, და გათვალიწინებულია დაწნევის სისტემა

წარმოდგენილი გენ.გეგმის შესაბამისად, ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 3 ჰიდრანტის განთავსება, ასევე საფეხმავლო და სამანქანო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

საექსპერტო დასკვნის შემადგენლობა.

1.დაჯავებულობის დატვირთვების შეფასება.
2.კონსტრუქციის ტიპების შეფასება.
3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება.
4.გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.
5.გზა-ჯიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.
6.მისაწვდომობის შეფასება.
7.გარე ჯედლებისადმი მოთხოვნების შეფასება
8.სახურავის ანაწყობების შეფასება.
9.ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავეების შეფასება
10.ხანძრისგან დაცხის სისტემების შეფასება.
11.წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.
12.ავტოსადგომის შეფასება.

1.დაჯავებულობის დატვირთვების შეფასება.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განთავსებული თითოეული ტიპის დაჯავებულობისთვის შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას.დაჯავებულობები არის ჯლასიფიცირებული წესების მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება 302-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია შემდეგი ჯგუფები:

ბლოკი ა (ბანკი)

დამხმარე სათავსო დს	**-2 სართული -7.65 ნიშ.-ზე** დაბალი ძაბვის პანელის ოთახი, კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი, საწყობი, საინჟინრო დანადგარების ოთახები, წყლის რეზერვუარები, საშუალო ძაბვის ოთახი, გენერატორების ოთახი, გენერატორის დამხმარე ოთახი, საწვავის საწყობი, დამხმარე სათავსოები
	-1 სართული -3.85 ნიშ.-ზე დაბალი ძაბვის პანელის ოთახი, კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი, სატრანსფორმატორო ოთახი, სატრანსფორმატორო დამხმარე ოთახი, დამხმარე სათავსო
	0 სართული 0.00 ნიშ.-ზე დაბალი ძაბვის პანელის ოთახი, კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი
	მე- 2 სართული +3.95 დაბალი ძაბვის პანელის ოთახი, კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი
	მე- 3 სართული +7.90 დაბალი ძაბვის პანელის ოთახი, კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი, სასერვერო
	მე- 4 სართული +11.85 ნიშ.-ზე დაბალი ძაბვის პანელის ოთახი, კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი
	მე- 5 სართული +15.95 ნიშ.-ზე დაბალი ძაბვის პანელის ოთახები, კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი, დამხმარე სათავსო, ტექნიკური ოთახი
	ტექნიკური სართული +19.95 ნიშ.-ზე საინჟინრო დანადგარების ღია სივრცე
სასაწყობო ჯგუფი სწ-1	**-2 სართული -7.65 ნიშ.-ზე** სეიფის სივრცე- დამხმარე სათავსოები, სეიფი, ჩამოსატვირთი, დამხმარე სათავსო
სასაწყობო ჯგუფი სწ-2	**-2 სართული -7.65 ნიშ.-ზე** ავტოსადგომი
	-1 სართული -3.85 ნიშ.-ზე ავტოსადგომი
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	**მე-5 სართული +15.95 ნიშ.-ზე** სამზარეულო, კაფეტერია, სველი წერტილები, საწყობი,
თავშეყრის ჯგუფი თვ-3	**მე-4 სართული +11.85 ნიშ.-ზე** საკონფერენციო დარბაზი, დამხმარე სათავსო
	მე-5 სართული +15.95 ნიშ.-ზე ღია ტერასა, ჰოლი, სველი წერტილები, საკონფერენციო დარბაზი
საქმიანი ჯგუფი სქ	**-2 სართული -7.65 ნიშ.-ზე** დაცვის ოთახი
	-1 სართული -3.85 ნიშ.-ზე მომსახურე პერსონალის შესასვლელი, ჰოლი/საევაკუაციო გასასვლელი, ოფისები, საწყობი, დამხმარე სათავსოები, ჰოლი, სველი წერტილები, შეხვედრების ოთახები, დაცვის ოთახი, კლიენტების მომსახურება, დაცვა, ლობი, ბანკომატი, სალაროები
	0 სართული 0.00 ნიშ.-ზე ღია სამუშაო სივრცე, დამხმარე სათავსოები, შეხვედრების ოთახები, ჰოლი, სამზარეულო, სველი წერტილები, ოფისები, საწყობები
	მე- 2 (+3.95)- დან მე-4 (+11.85) სართულების ჩათვლით ღია სამუშაო სივრცე, შეხვედრების ოთახები, სველი წერტილები, ოფისები, დამხმარე სათავსოები, საწყობი

ბლოკი ბ (სასტუმრო) **ბლოკი გ** (კაფე)

დამხმარე სათავსო დს	**-2 სართული -7.65 ნიშ.-ზე** დაბალი ძაბვის პანელის ოთახი, კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი, საინჟინრო დანადგარების ოთახები, წყლის რეზერვუარები
	-1 სართული -3.75 ნიშ.-ზე დაბალი ძაბვის პანელის ოთახი, კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი, სატრანსფორმატორო ოთახები, ტექნიკური მომსახურების ოთახი, საინჟინრო დანადგარების ოთახები, ელექტროობის ოთახი, დასატვირთი სივრცე, თელასის ტრანსფორმატორის ოთახი
	1 სართული 0.00 ნიშ.-ზე დაბალი ძაბვის პანელის ოთახი, კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი
	1 სართულის ანტრესოლი +3.08 ნიშ.-ზე დაბალი ძაბვის პანელის ოთახი, კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი
	მე-2 (+7.63) დან მე-8-ს (+27.78) ჩათვლით დაბალი ძაბვის პანელის ოთახი, ნომრების მომსახურება
	ტექნიკური სართული +32.80 ნიშ.-ზე საინჟინრო დანადგარები
სასაწყობო ჯგუფი სწ-1	**-2 სართული -7.65 ნიშ.-ზე** სასადილოს და სამზარეულოს დანადგარები,უნიფორმების და თეთრეულის ოთახი
	1 სართული 0.00 ნიშ.-ზე გარდერობი, ბარგის სათავსო
	1 სართულის ანტრესოლი +3.08 ნიშ.-ზე საკუჭნაო და საწყობი, გარდერობი
სასაწყობო ჯგუფი სწ-2	**-2 სართული -7.65 ნიშ.-ზე** ავტოსადგომი, ქიმიური ნივთიერებების საწყობი
	-1 სართული -3.75 ნიშ.-ზე ავტოსადგომი, საწყობი
	1 სართული 0.00 ნიშ.-ზე ბარი
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	**-2 სართული -7.65 ნიშ.-ზე** სასადილო
	-1 სართული -3.75 ნიშ.-ზე ჰოლი, საცხობი და საკონდიტრო, მაცივარი და საყინულე, საწყობი და მაცივრები, სველი ნარჩენები, მშრალი ნარჩენები, ნარჩენების გადამუშავება, საკვების მოსამზადებელი ოთახი, ჭურჭლის სამრეცხაო
	1 სართული 0.00 ნიშ.-ზე რესტორანი, ბარი/ლაუნჯი, სამზარეულო, მზარეულის ოთახი, ბარის საწყობი, ნომრების მომსახურების სასადილო, ჰოლი
	მე-8 სართული +27.78 ნიშ.-ზე რესტორანი, რესტორანი (ღია ტერასა), სამზარეულო და ბარი, სველი წერტილები, ჰოლი, კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი
თავშეყრის ჯგუფი თვ-3	**1 სართულის ანტრესოლი +3.08 ნიშ.-ზე** შეხვედრების ოთახი
	მე-8 სართული +27.78 ნიშ.-ზე სპორტ-დარბაზი
საქმიანი ჯგუფი სქ	**-2 სართული -7.65 ნიშ.-ზე** ინჟინრის ოთახი, მომსახურე პერსონალის გასახდელები, დამლაგებლის ოთახი და სამრეცხაო, ჰოლი
	-1 სართული -3.75 ნიშ.-ზე მძღოლების ოთახი, დაცვის ოთახი, ჩამოსატვირთი ბაქანი, პროდუქტების გასუფთავება, საკვები პროდუქტებისა და სასმელების შესყიდვა, ფინანსების ოთახი, შეკეთების და ტექნიკური მომსახურების ოთახი, ადმინისტრაცია, სერვერის ოთახი
	1 სართული 0.00 ნიშ.-ზე ჰოლი, ლობი, ოფისი, რეზერვაციის ოთახი, უსაფრთხოების ყუთი, სველი წერტილები, ხანძრის მართვის ცენტრი
	1 სართულის ანტრესოლი +3.08 ნიშ.-ზე ჰოლი, გენერალური მენეჯერის და მისი ასისტენტის ოთახი, შეხვედრების ოთახები
საცხოვრებელი სც-1	**მე-2 (+7.63) დან მე-8-ს (+27.78) ჩათვლით** სასტუმროს ნომრები, ჰოლი,კომუნიკაციების უსაფრთხოების ოთახი

შენიშვნა."ბ" ბლოკის ±0.00 ნიშნულზე განთავსებულია ბარი, რომელშიც უპირატესად ინახება მინის ბოთლები, შესაბამისად აღნიშნულ სივრცეს მინიჭებულია აქვს სწ-2 დაჯავებულობა.

წესების 312 ქვეთავის მიხედვით, პროექტში გათვალისწინებული დაჯავებულობები გათვალისწინებული შემდეგი ტიპის სივრცეებისთვის.
-დს:აღნიშნული დაჯავებულობა მოიცავს დამხმარე დანიშნულების შენობებს, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს.
-სწ1:სასაწყობო ჯგუფი, რომელიც არ ჯვალიფიცირდება როგორც, სწ2, და სადაც ინახება;ტანსაცმლი, ჩანთები დასხვა.
-სწ2:გამოიყენება ავტოსადგომებისთვის, ჩამოთვლილი საქონლის და ნივთების შესანახად:საჯვები პროდუქტები,გაყინული საჯვები, მინის ბოთლები არაწვადი სითხეებით და სხვა.
-თვ2:განკუთვნილია თავშეყრისა და ჯვებისთვის და მოიცავს:რესტორნებს, კაფეებს (მათთან დაკავშირებულ კომერციულ სამზარეულოებს) და სხვა.
-თვ3:განკუთვნილია რეკრეაციის ან გართობისთვის, ასევე სხვა მიზნით თავშეყრისთვის:საჯარო დარბაზებს, სპორტულ დარბაზებს (მაყირებელთა დასაჯდომების გარეშე) და სხვა.

-სქ:მოიცავს საოფისე ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებს, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად:ბანკი, პროფესიული მომსახურება, და სხვა.
-სც1:დაჯავებულობები სადაც განთავსებულია საძინებელი ერთეულები, უმთავრესად დროებითი მაცხოვრებლებისთვის: სასტუმროები, მოტელები და სხვა.

დაჯავებულობისა და დაჯავებულობის დატვირთვის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტში გამოყენებული დაჯავებულობები აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.ასევე სწორად არის შერჩეული დაჯავებულობის დატვირთვის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრულია წესების 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

2.კონსტრუქციის ტიპის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების,ცხრილი 503-ის მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის,შენობაში არსებული დაჯავებულობებისა და შენობის სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია I-A კონსტრუქციის ტიპი, როგორც "ა" და "ბ" ასევე "გ" ბლოკისთვის.ცხრილი 503-ის შესაბამისად აღნიშნული ტიპის კონსტრუქციისთვის, შენობის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრული არ არის (შეუზღუდავია), ხოლო პროექტით შენობის სიმაღლე შეადგენს:
ა-ბლოკი: 21.75 მ. 7 სართული (მათ შორის:მიწის დონის ზემოთ 5 სართული)
ბ-ბლოკი: 34.00 მ. 10 სართული (მათ შორის: მიწის დონის ზემოთ 8 სართული)
გ-ბლოკი: 3 სართული (მათ შორის: მიწის დონის ზემოთ 1 სართული)
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები, მათ შორის მზიდი კონსტრუქცია,იატაკისა და სახურავის კონსტრუქცია შესრულდება ბეტონის მონოლითის სახით.721 ქვეთავის მიხედვით გამოსაყენებელი მასალის ცეცხლმედეგობის ხარისხი, სპეციფიკაციებიდან გამომდინარე, შეადგენს მინიმუმ 3 საათს, ხოლო სახურავის კონსტრუქციისთვის მინიმუმ 1 საათს, რაც შეესაბამება 601 და 602 ცხრილებში I-A კონსტუქციის ტიპისთვის მოთხოვნის ცეცხლმედეგობის ხარისხს.

კონსტრუქციის ტიპის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტში გამოსაყენებელი მასალების, ასევე დაჯავებულობებისა და სიმაღლის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული კონსტრუქციული ტიპი, და აღნიშნული აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.

3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება .

503-ე ცხრილის შესაბამისად, საპროექტო შენობაში გათვალისწინებული დაჯავებულობებისა და კონსტრუქციული ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი არ ცდება 503-ე ცხრილში განსაზღვრულ ზღვრებს.აღსანიშნავია, რომ შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე (I-A) შენობის სართულიანობა, სიმაღლე და გათვალისწინებული დაჯავებულობების ფართები შეუზღუდავია.
წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის მიხედვით შენობის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს: ბ-ბლოკი: 34.00 მ. (10 სართული).
საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაჯავებულობების ფართები და სართულიანობა განაწილებულია შემდეგი სახით:

ბლოკი-ა:

დს -1006.6 კვ.მ (8 სართული)
სწ1 - 69.8 კვ.მ (1 სართული)
სწ2 - 2205.4 კვ.მ (2 სართული)
თვ2 - 217.4 კვ.მ (1 სართული)
თვ3 - 586.8 კვ.მ (2 სართული)
სქ - 3532.8 კვ.მ (6 სართული)

ბლოკი-ბ და ბლოკი-გ:

დს -1296.2 კვ.მ (11 სართული)
სწ1 -248.0 კვ.მ (3 სართული)
სწ2 - 2151.1 კვ.მ (3 სართული)
თვ2 - 1369.9 კვ.მ (4 სართული)
თვ3 - 183.9 კვ.მ (2 სართული)
სქ - 1128.5 კვ.მ (4 სართული)
სც1 - 4815.5 კვ.მ (7 სართული)

სიმაღლისა და ფართობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული შენობის სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობების ფართობი განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს მე-5 თავის 503 ცხრილის მოთხოვნებს.როგოც აღინიშნა შენობის კონსტრუქციულ ტიპად არჩეულია I-A, რომლისთვისაც ცხრილი 503-ის შესაბამისად არ არის შეზღუდული შენობის სიმაღლე, სართულიანოდა ან ფართობი.

4.გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელების და შენობის გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელ სისტემაში შემავალი სამივე ელენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და გასასვლელის კომპონენტების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.
წესების 1021.2 ქვეთავის 1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილების მიხედვით გადამოწმების შემდგომ დადგინდა, რომ მიწის ზედა სართულებიდან არც ერთი სართულის დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 დამკავებელს, შესაბამისად წესებით მესამე სართულიდან გამოსასვლელი მოთხოვნილი არ არისმ შესაბამისად შენობის თითოეულ სართულს უნდა ემსახურებოდეს მინიმუმ 2 სართულიდან გამოსასვლელი, როგორც "ა" ასევე "ბ" და "გ" ბლოკში.რაც შეეხება პიწისპირა სართულებს აღნიშნულ სართულებზე გათვალიწინებული მოთხოვნილზე მეტი გასასვლელი საშუალება.
ჯერძოდ:
ა ბლოკი:
- მიწისქვეშა სართულზე (-7.65 ნიშნული) გათვალისწინებულია 3 გასასვლელი, მათ შორის გზა-კიბე და გზა-კარი.გზა-კიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად.წესების მოთხონების შესაბამისად მიწისპირა სართულზე მდებარე კიბის უკრედებს გააჩნიათ ტამბური.
- მიწისპირა სართულზე (-3.85 ნიშნულზე) გათვალიწინებულია ასევე 3 გასასვლელი გზა კარი, და გზა-კიბე, რომელთან მოხვედრა უმეტეს შემთხვევში ხორციელდება გზა-დერეფნის საშუალებით, რომელიც თავისმხვრის აკმაყოფილებს წესების 1018 ქვეთავის მოთხოვნებს.აღნიშნული გზა-კიბეები გადის პირდაპირ შენობის გარეთ
- მიწის ზედა სართულებზე, (±0.00; +3.95;+7.90;+11.85;+15.95 და +19.95) ნიშნულებზე 1021 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად გათვალისწინებულია 2 გასასვლელი გზა-კიბე, რომელიც მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად და შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე გამმიჯნავეებით.სწორად არის შერჩეული გზა-კიბეებზე მოსახვედრი გზა-კარები, რომელიც იღება მიმართულებით შიგნით, და აკმაყოფილებს წესების 1008 ქვეთავის მოთხოვნებს.ასევე ±0.00 ნიშნულზე დამატებით გათვალისწინებულია გზა-კარი, რომელიც გადის შენობის გარეთ.
ბ და გ ბლოკი:
- მიწისქვეშა სართულზე (-7.65 ნიშნული) გათვალისწინებულია 4 გასასვლელი გზა-კიბე.აღნიშნულ ნიშნულზე ასევე უკავშირდება "ა" ბლოკს, რომელშიც თავისმხვრივ გათვალისწინებული დამატებით 3 გზა-კიბე,რომელიც მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად.წესების მოთხონების შესაბამისად მიწისპირა სართულზე მდებარე კიბის უკრედებს გააჩნიათ ტამბური.
- მიწისქვეშა სართულზე (-3.75 ნიშნული) ასევე გათვალისწინებული 4 გასასვლელი გზა-კიბე.

.
-მიწისპირას სართულზე (±0.00 ნიშნული), ბ და გ ბლოკებისთვის გათვალისწინებულია 7 გასასვლელი გზა-ჯარი.
- მიწიზედა სართულებზე (+3.08;++7.63;+11.13;+14.63;+18.13;+21.63 და +25.13) 1021 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად გათვალისწინებულია 2 გასასვლელი გზა-ჯიბე, რომელიც მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად და შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე გამმიჯნავებით.სწორად არის შერჩეული გზა-ჯიბეებზე მოსახვედრი გზა-ჯარები, რომელიც იღება მიმართულებით შიგნით, და აკმაყოფილებს წესების 1008 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომებისა და გასავლელების და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული კომპონენტები შესრილებულია წესების მოთხოვნების შესაბამისად და აკმაყოფილებს შესაბამისი ქვეთავების მოთხოვნებს.

5.გზა-ჯიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების განტარუნარიანობების შეფასება .

შენობა-ნაგებობაში გათვალისწინებული გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-ჯიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად.გზა-ჯიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1009.4 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-ჯიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.1 ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ.) მინიმუმ 1.1 მეტრი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით "ა" ბლოკში გზა-ჯიბეების სიგანე შეადგენს 1.35 მეტრს, ხოლო "ბ" ბლოკში 1.20 მეტრს.შიგა გასასვლელი გზა-ჯიბეები, ასევე აკმაყოფილებს წესების 1009.7,1009.8 და 1009.15 ქვეთავების მოთხოვნებს, ჯიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით.გზა-ჯიბეებში შემავალი და გამოსასვლელი გზა-ჯარები მოწყონილია 1008 ქვეთავის მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.ჯერჯოდ 716.5 ქვეთავის მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშვირებით, რადგან 1009.3.1.1 ქვეთავის მიხედვით გზა-ჯიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად მასში ჩასმული გზა-ჯარის ცეცხლმედეგობის ხარისხია 2 საათი.გზა-ჯიბეები ასევე აკმაყოფილებს 1023 ქვეთავ, ჯერჯოდ გზა-ჯიბე გადის შენობის გარეთ ან გრძელდება შენობის გარე მხარემდე გასასვლელი გზა-დერეფნის საშუალებით.

გასასვლელ სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1018.2 ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლით.დერეფნის გამტარუნარიანიბის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2 ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (3.8) საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით "ა" ბლოკში გათვალისწინებულია მინიმუმ 1.50 მეტრის და მაქსიმუმ 2.95 მეტრის სიგანის დერეფნების მოწყობა, რომლებიც გადანაწილებულია შენობაში არსებული დაკავებულობების დატვირთვის გამტარუნარიოანობის მოთხოვნების შესაბამისად.რაც შეეხება "ბ" ბლოკს აქ გათვალისწინებულია მინიმუმ 1.50 მეტრის და მაქსიმუმ 2.00 მეტრის სიგანის გზა-დერეფნები.

გასასვლელ სისტემაში შემავალი გზა-ჯარები მოწყობილია წესების 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს.პროექტით "ა"ბლოკში მინიმუმ 0.88 მ და მაქსიმუმ 1.86 მეტრის სიგანის გასასვლელი გზა-ჯარები, ხოლო "ბ" ბლოკში მინიმუმ 0.88 მ. და მაქსიმუმ 1.75 მეტრის გასასვლელი გზა-ჯარი.აღსანიშნავია ისიც რომ, ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-ჯარი უნდა აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნებს ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

1007.3 ქვეთავის შესაბამისად, ვინაიდან შენობა სრულად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, შესაბამისად მისაწვდომი გზა-ჯიბე და თავშესაფრის ფართები საჭირო არ არის.მიუხედევად ამისა შენობაში გათვალისწინებული გზა-ჯიბეების თავისუფალი სიგანე შეადგენს 1.20 მეტრს.

გზა-ჯიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული გასასვლელი საშუალებების სიგანე და გამტარუნარიანობა განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს შესაბამისი ქვეთავების მოთხოვნებს.

6.მისაწვდომობის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-11 თავის მიხედვით, საპროექტო შენობაში არის მითითებული მისაწვდომი სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა და გამოსვლა.

შემოზღუდულ ავტოსადგომზე უზრუნველყოფილია მისაწვდომი ავტოსადგომები, რაც აკმაყოფილებს 1106.2 ქვეთავის მოთხოვნებს.ასევე 1109 თავის მოთხოვნების შესაბამისად შენობაში გათვალისწინებულია მისაწვდომი წყალსადენის ფიქსირებული ელემენტები და ტუალეტები.

შენობის მიწის დონის ზედა სართულებზე მისაწვდომობა უზრუნველყოფილია შენობაში განთავსებული ლიფტების მეშვეობით, რომელთა გაბარიტული ზომები საშუალებას იძლევა, რომ მასში შშპ პირის ეტლი განთავსდეს.აღნიშნული ლიფტები უნდა მოეწყოს და აღიწურვოს წესების 1710.2 ქვეთავში მითითებული სტანდარტების შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს წესების მოთხოვნებს.

1107.6.1.1 ცხრილის შესაბამისად შენობაში გათვალისწინებული სასტუმრო ნომრების საჭირო რაოდენობა, ასევე მისაწვდომია და მოწყობილია შშმ პირთათვის.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, მისაწვდომია შიგა და გარე ყველა სივრცე, რომელთა მისაწვდომობა მოთხოვნილია წესების მოთხოვნებით.

*შენიშვნა:შენობაში გათვალისწინებულია თვ2 და თვ3 დაკავებულობები (საკონფერენციო დარბაზი, კაფე-ბარე), რომლებიც ასევე მისაწვდომია შშმ პირებისთვის, თუმცა ვინაიდან აღნიშნულ დაკავებულობებში არ არის ფიქსირებული დასაჯდომები, შშმ პირს, ეტლით შეუძლია ნებისმიერი ადგილის დაკავება, რის გამოც კონკრეტული ადგილები გეგმებზე მონიშნული არ არის.

საპროექტო დოკუმენტაცია ასევე თან ერთვის "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებით გათვალისწინებული, სან.კვანძების, დერეფნების კიბის უჯრედებისა და სხვა შემადგენელი ელემენტების დეტალური ნახაზები.აღნიშნული ნახაზებიდან ირკვევა, რომ შენობაში გათვალისწინებული ყველა კარის ღიობის ტავისუფალი ზომა, 90^0-ანი გაღების შემთხვევაში შეადგენს მინიმუმ 82 სმ-ს, რაც სრულად აკმაყოფილებს ტექნიკურ რეგლამენტს.გარდა ამისა წარმოდგენილია ლიფტის კაბინისა, და სამართავი ღილაკების მოწყობის სქემები.აღნიშნული ზომების გათვალისწინებით ლიფტის კაბინა ასევე მისაწვდომია როგორც შშმ პირთა ეტლისთის, ასევე როგორც უკვე აღინიშნა მასში თავისუფლად შესაძლებელია საკაცის განთავსება.

შენობაში გათვალისწინებული დერეფნები და გზა-დერენფები ასევე აკმაყოფილებს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს, კერძოდ დერეფნების მინიმალური სიგანე, ასევე დერეფნების სიგანე 90^0 კუთხის მობრუნების შემთხვევაში აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.დერეფნებში შესაძლებელია როგორც წრიული ასევე ზოგ შემთხვევაში T-მოსატრიალებლის მოწყობა

თანდარტულ დოკუმენტაციაში ასევე წარმოდგენილია კიბის უჯრედებში გათვალისწინებული სახელურებისა და საფეხურების წინაპირების მოწყობის სქემები, რომლებიც ასევე სრულ თანხმევდაშია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან

მისაწვდომობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების და მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა. გეგმებზე ნაჩვენებია მისაწვდომი სვლაგეზები.მოწყობილია ფიქსირებლი წყალსადენის ელემენტები და ტუალეტები,შესაბამისად წარმოდგენილი შენობა-ნაგებობა აკმაყოფილებს მე-11 თავის და მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს და შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

7.გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი,მათ შორის გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, განსაზღვრულია წესების 705 ქვეთავის შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები წესების მოთხოვნების შესაბამისად.პროეტთან თანდართული ცხრილების მიხედვით, მაქსიმალური ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი "ა" ბლოკისთვის ხანძარსაწინააღმდგემო მინიმალური მანძილი მიწის ნაკვეთის უახლოეს წერტილამდე (ქუჩის, ჩიხის საზოგადოებრივი გზის შუახაზამდე)შეადგენს 10.54 მეტრს რაც 9 მეტრზე მეტია, ისევე როგორც, 1ა, 3ა და 4ა ფასადებზე. (იხილეთ პროექტთან თანდართული ცხრილები.წარმოდგენილი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით ჯედლის ღიობის ფართობი შეუზღუდავია.რაც შეეხება "ბ"და "გ" ბლოკს ფასადებზე: 4ა, 1ა და 2ა ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 9 მეტრე მეტია რაც ასევე შეუზღუდავია 705.8 ცხრილის მიხედვით, ხოლო 13-5 ღერძებში მდებარე ფასადზე (ფასადი 3ა)მანძილი ქუჩის(ჩიხის) შუახაზამდე შეადგენს 5.40 მეტრს.პროეტით თანდართული ცხრილების, როგორც ჯედლის ღიობების ფართობი(ცხრილი 705.8), ასევე ცეცხლმედეგობის ხარისხი (ცხრილი 602) აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

წესების 602 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობას კონსტრუქციული ტიპიდან გამომდინარე, მოეთხოვება გარე ჯედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი.წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით რ-ი და ი-ზ მონაკვეთებში მოეთხოვება 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე გარე "ბ" ბლოკის 13-5 ფასადზე რაც წარმოდგენილი დოკუმენტაციაა ასევე გათვალისწინებულია.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შესაბამისად ა და ბ ბლოკებს შორის დაცულია წარმოსახვითი მიჯნის ზონა.მინიმალური დაშორება ბლოკებს შორის შეადგენს 6.85 მეტრს,რაც შეეხება ბ და გ ბლოკებს, შინა სივრცეში ისინი დაკავშირებულია ერთმანეთთან დაკავებულობის გეგმების გათვალისწინებით აკმაყოფილებენ წესების მოთხოვნებს.შესაბამისად მიგვაჩნია რომ ბლოკებს ა და ბ ბლოკებს შორის მიჯნის ზონა არის დაცული.

გარე ჯედლებისადმი მოთხოვნების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე ჯედლები და ღიობები აკმაყოფილებს წესების 705.8 ცხრილის და 602 ცხრილის მოთხოვნებს.

8.სახურავის ანაწყობების შეფასება

საპროექტო შენობა-ნაგებობის სახურავის სტრუქტურა და არაძირითადი ნაწილების შეფასება განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის გათვალისწინებით (I-A).აღნიშნული კონსტრუქციის ტიპისთვის, სახურავის ცეცხლმედეგონის ხარისხი განსაზღვრულია მინიმუმ 60 წუთით, რაც წარმოდგენილი პროექტით არის გათვალისწინებული და გამოსაყენებლი მასალების მიხედვით, სახურავის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 2 საათს.

სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის B კლასს (ცხრილი 1501.1ა).სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია 1507.10.2 და 1507.4.3(2) ცხრილების შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM A 653 G-90 და ASTM D 3909 სტანდარტების მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია კიბის უჯრედის მეშვეობით.მიუხედავად იმისა, რომ 705.11 ქვეთავის მე-3 გამონაკლისის მიხედვით შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შენობის სახეავზე ნაწილობრივ გათვალისწინებულია პარაპეტის მოწყობა.

სახურავის ანაწყობების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სახურავის ანაწყობები სახურავის ბურული და არაძირითადი ნაწილები შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

9.ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამჯიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობა-ნაგებობის თითოეული დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების 508 ქვეთავის შესაბამისად.პროექტში გათვალისწინებულია დს; სწ1; სწ2; თვ2; თვ3; სქ; და სც1.წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დაკავებულობის ჯგუფები მოთხოვნების შესაბამისად ერთმანეთისგან და ასევე დერეფნებისა და კიბის უჯრედებისგან გამიჯნულია 508.4 ცხრილის მოთხოვნების შესაბამისად თარაზული ანაწყობებით მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხით.წარმოდგენილი ჭრილების საფუძველზე ასევე დგინდება,

რომ ცეცხლედეგობის ხარისხი, ასევე გათვალისწინებული სართულშორის გადახურვის ფილებისთვისაც, რომელიც განსაზღვრულია წესების 601 ცხრილით.შენობაში არსებული ყველა ჯიბის უჯრედის, ლიფტისა და საერთო საერთო შახტა შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით.ასევე 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით შემოზღუდულია სავენტილაციო შახტები.

საპროექტო დოკუმენტაციისა და წესებისმოთხოვნების მიხედვით, მოწყობილი ცეცხლმედეგი გამიჯნავები, მასალის ცეცხლმედეგობა, განთავსების სტრუქტურული მთლიანობა და უწყვეტობა უნდა აკმაყოფილებდეს წესების მე-7 თავის მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით და სრულ შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

10.ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო შენობა-ნაგებობაში, შენობის დაკავებულობების, სიმაღლისა და ფართობების გათვალისწინებით, წესების მოთხოვნის მიხედვით გათვალისწინებულია ხანძრისგან დაცვის შემდეგი სისტემები:

- ავტოსაშხეპი სისტემა.
- ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები.
- სახანძრო განგაშისა, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები.
- სახანძრო მილდგარების სისტემები.
- კვამლის საკონტროლო სისტემები.
- ხელის ცეცხლმაქრები.
- საავარიო განგაშის სიტემები.

პროექთან თანდართულ ცხრილების შესაბამისად დგინდება, რომ შენობის სხვა და სხვა დაკავებულობასა, ჯიბის უჯრედა და დერეფნებში გათვალწინებულია სხვა და სხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო და ხანძრის აღმომჩენ-მაუწყებელი სისტემები.მაგალითად,წესების 907.2.14 და 907.2.13, საავარიო განგაშის სისტემა, როგორც "ა" ასევე "ბ" ბლოკში გათვალისწინებულია ყველა დაკავებულობაში, ასევე ჯიბის უჯრედში, ლიფტებში და დერეფნებში.შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების შესაბამისად, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო შენობა-ნაგებობა, 403.3, 404.3 და 903.2.7 ქვეთავების შესაბამისად აღჭურვილია ავტოსაშხეპი სისტემით. კერძოდ სისტემა გათვალისწინებულია -1 და -2 სართულებზე განთავსებულ ავტოსადგომებში, ასევე შემდეგ დაკავებულობებში: სც1; სქ; თვ-3 და სხვა.როგორც უკვე აღინიშნა დასაწყისში, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სახანძო მისაერთებლები, ჰიდრანტები, რომელთა სართო რაოდენობა შეადგენს სამს. "ა" ასევე "ბ" და "გ" ბლოკებში გათვალისწინებულია სახანძრო მილდგარები, რომლებიც განთავსებულია დერეფნებში.წესების 907.2.14 და 907.2.13 შენობაში მდებარე ყველა დაკავებულობაში, ჯიბის უჯრედებში, ლიფტებსა და დაერეფნებში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშისა, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები.წესების მოთხოვნათა შესაბამისად შენობაში გათვალიწინებულია ცეცხლმაქრები, და კვამლის საკონტროლო სისტემები. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მითითებული კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს წესების 907.2.13 და 907.2.14 ქვეთავების მოთხოვნებს.ასევე 907.2 და 102.3 ქვეთავების მოთხოვნებს სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, წესების მოთხოვნების შესაბამისად გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები , სახანძრო ტუმბოები და წყლის რეზერვუარი.

შენობაში, წესების გათვალისწინებით, როგორც "ა" ასევე "ბ" და "გ" ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია, როგორც ბუნებრივი, მაგალითად თვ3 და სც1 დაკავებულობებში, ასევე ხელოვნური განიავება,მაგალითად დერეფნებში, ჯიბის უჯრედებში სქ დაკავებულობაში და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით მოთხოვნილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები უნდა აკმაყოფილებდეს წესების 901 ქვეთავის მოთხოვნებს, დაყენებასთან და შემოწმებასთან დაკავშირებით.

ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით,წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში გათვალისწინებული ხანძრისგან დაცვის სისტემები აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

